საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მითრიდატე III

მითრიდატე III, ქართლის (იბერიის) მეფე. იხსენიება რომში ნაპოვნი საფლავის ქვის ბერძნულ წარწერაში, რ-იც 114–115 წლებით თარიღდება. ეპიტაფიაში მოხსენიებულია მითრიდატეს ძმა ამაზასპი. ამ წარწერიდან ჩანს, რომ მ. III-ს რომთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა.

წყარო: ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970.

გ. მელიქიშვილი